# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№614 2018 წლის 16 მარტი ქ. თბილისი

## შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სამუალაზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის (სამუალა 1 ჰესი და სამუალა 2 ჰესი) სამშენებლო სამუშაოების წარმოების მიზნით, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/კ: 404485188) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №28.24.25.001; №28.24.25.003; №28.24.25.005) არსებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* Mill.) – 31 (ოცდათერთმეტი) ინდივიდი;

ბ) კაკლის ხე (Juglans regia L.) – 3 (სამი) ინდივიდი.

2. შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს მას მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია * №1